

**ეკა ღაღიანი,  
ტარიელ შუტკარაძე**

**სილოვან ხუნდაძის  
„ქართულ გრამატიკაში“ შეტანილი  
მეგრულ-სვანური მასალის შესახებ**

სილოვან ხუნდაძე ქართული ენის ერთ-ერთი გამორჩეული მკვლევარია. ამას მოწმობს მისი მდიდარი ენათმეცნიერული მემკვიდრეობა: გრამატიკის სახელმძღვანელოები, სტატიები, სპეციალური წერილები... რომლებიც ქართული ენის სხვადასხვა სფეროს მოიცავს: ტერმინოლოგია, მართლწერა, ფონეტიკა, მორფოლოგია, სინტაქსი...

ს. ხუნდაძის გრამატიკული ნაშრომებიდან აღსანიშნავია: ქართული გრამატიკის ტერმინოლოგია (გამოცა 1887 წელს), ქართული ზმნები (1891), სალიტერატურო ქართული (1901), ქართული გრამატიკა (პირველად 1904 წელს გამოცა), ქართული გრამატიკა პირველდაწყებითი სკოლებისათვის (პირველად გამოქვეყნდა 1912 წელს, სულ 5-ჯერ გამოცა), ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძვლები (1927).

სტატიაში შევხებით „ქართულ გრამატიკას“, რომელშიც წარმოდგენილია ჩვენთვის საინტერესო მეგრულ-სვანური მასალა. „ქართული გრამატიკა“ წლების განმავლობაში ქართული ენის სახელმძღვანელო იყო მოსწავლეებისათვის. ის ძალიან პოპულარული იყო. ამაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ წიგნი 7-ჯერ გამოცა: I – 1904 წელს, II – 1907 წელს, III – 1911 წელს, IV – 1915 წელს, V – 1917 წელს, VI – 1919 წელს, VII – 1920 წელს.

სხვადასხვა გამოცემებს შორის გარკვეული სხვაობაა. კონკრეტულად: მეგრულ-ლაზური ფორმები I გამოცემაში არ ჩანს. ავტორმა ის მოგვიანებით, II გამოცემაში შეიტანა დანართის სახით: „ქართული ენის კილოკავების – მეგრულისა და სვანურის გრამატიკული ფორმები“ (ს. ხუნდაძე, 1907: 203-214). მომდევნო გამოცემებში მეგრულ-სვანურ ფორმებთან დაკავშირებით ცვლილებები არ დასტურდება. ბოლო, 1920 წლის გამოცემაში მეგრულ-სვანური მასალა არ არის შეტანილი. ანალიზისას ვემყარებით VI, 1919 წლის გამოცემას.

თავიდანვე აღვნიშნავთ: ს. ხუნდაძე მეგრულ-ლაზურ-სვანურ მეტყველებებს, ინგილოურ, ფსაურ, თუშურ, ხევსურულ კილოებთან ერთად, ქართული ენის შტოებად – კილოკავებად მიიჩნევს, რაც დანართის სათაურიდანაც ჩანს. დანართის შესავალ ნაწილში ის წერს: „ქართული ენის კილოკავებია – სვანური, მეგრული, ლაზური, ინგილოური, ფშაური, თუშური, ხევსურული და სხვ. საქართველოს ყოველის განსაკუთრებული კუთხის ენას თავისი განსხვავებული გამოთქმა და ფორმები აქვს, მაგრამ ყველა კუთხეს ერთმანეთის საუბარი კარგათ ესმის. მხოლოდ სვანური და მეგრული ენა (და ამ უკანასკნელის მახლობელი დიალექტი ლაზური) დედა-ქართულისაგან განსაკუთრებით განსხვავებულ სახეს წარმოადგენს“... (გვ. 183-184).

აშკარაა, რომ დამოწმებულ ფრაზაში (ზოგადად ნაშრომში) ტერმინი ენა სხვადასხვა მნიშვნელობის გამომხატველია; ერთი მხრივ, გვაქვს შესიტყვება: ქართული ენა, ხოლო მეორე მხრივ - სვანური და მეგრული ენა, კუთხის

ენა, რომელიც კუთხურ მეტყველებას, საუბარს აღნიშნავს. ს. ხუნდაძის აზრით, მეგრული (აგრეთვე სვანური) „დედა-ქართულისაგან განსაკუთრებით განსხვავებულ სახეს წარმოადგენს“.

ზოგადად, ენა პოლისემანტიკური სიტყვაა და აღნიშნავს: სხეულის ნაწილს, მეტყველების უნარს, კონკრეტულ ენას. მეტყველების ნაირსახეობას, ხელოვნების სხვადასხვა დარგის გამომსახველობით საშუალებათა სისტემებს, აგრეთვე მოდგმას, ძალხს, ერს. ეთნოსს (ქეგლ, ზ. გამსახურდია, 1991: 3-6).

ს. ხუნდაძის მიზანი ნათელია: მეგრულ-სვანური მასალის ანალიზით მოსწავლეებისთვის თვალსაჩინო გახადოს ქართულ სალიტერატურო ენასა და ქართველურ კილოებს შორის არსებული მსგავსება ფონეტიკაში, მორფოლოგიაში, სიტყვაწარმოებაში...

დანართი 5 ნაწილად (ქვეთავად) არის დაყოფილი. თითოეულ ნაწილში სხვადასხვა საკითხია განხილული.

I ქვეთავში (ხმები) ს. ხუნდაძე ფონეტიკის საკითხებს ეხება. გაანალიზებულია სამეტყველო ბგერები, რომელსაც ავტორი „ხმას“ უწოდებს. მისი აზრით, „მეგრულსა და სვანურ ენებს დაუცავს დედაქართულის ყველა ის ხმა, რომელიც ამ უკანასკნელს ევროპიული ენებისგან განსხვავებს, - მაგალ. თ, ფ, ქ, ლ, ყ, ძ, წ, ჭ, ჯ“ (გვ. 184).

იქვე მიუთითებს, რომ „საერთო ხმებს გარდა, მეგრულსა და სვანურ ენებში არის რამდენიმე განსხვავებული ხმაც, რომელიც დედაქართულში დღეს არ მოიპოება“.

ავტორი მსჯელობს მეგრულისა და სვანურის განსხვავებულ ბგერებზე. როგორცაა: მეგრულში ხორხისმიერიც თანხმოვანი, „ნახევარხმიანი ხმა“ გ. ნახევარხმოვანი ე. სვანური ხორხისმიერიც თანხმოვანი, ფრანგული u-ს მსგავსი ბგერა (უ, ა ხმოვნები)...

მეგრულიც თანხმოვნის შესახებ აღნიშნავს, რომ მას „დააბლოებით იმგვარივე გამოთქმა აქვს, როგორც რუსულ ხმოვან ყ-ს წინ მიუძღვის, ან როგორც იმერულ შორისდებულ იმე-ში ი-ნის წინ მოისმის. ეს ხმა გამოთქმით ქართულ ყ-ს უახლოვდება“ (გვ. 184). გრაფიკულად აღინიშნება შებრუნებული ყ-თი (ყ). საილუსტრაციოდ მოხმობილია საერთოქართველური მასალა: ცუჭი - ყური, ცუდე - სახლი, მიცორს - მიყვარს, ქოცოფე - ყოფილა.

„ნახევარხმიან ხმას“, იგივე ნეიტრალურ გ ხმოვანს, ფრანგულ ყრუ e-ს უდარებს: იფირქე „იფიქრა“. „ბოლოში ქ მოწყვეტით არ თავდება, არამედ ყრუთ. ნახევრათ ისმის კიდევ ხმა“ (გვ. 185). მსგავსი „ნახევარი ხმა“ ხშირად ისმის სვანურშიც: სი ხგგ „შენ დგახარ“, ეჭა ხგგ „ის დგას“ (იქვე).

ს. ხუნდაძეს შენიშნული აქვს მეგრულში ლ ბგერის წარმოთქმის თავისებურება: „მეგრულ ენას საზოგადოთ ნაზი, რბილი გამოთქმა აქვს — და ამ თვისების განსაკუთრებით დამახასიათებელი გამოთქმა მოისმის ნახევარხმოვან ი-ში“ (გვ. 185). აღინიშნება ე-თი: ძაძამი „ძალიან“, მაძაზონი „მონაზონი“, მაძაღური „მალაღური“...

სვანურისც თანხმოვანი ასეა დახასიათებული: „ხორხისმიერი ხმა, რომელიც ქართულ ხ-ს ჩამოგავს, მაგრამ უფრო ღრმათ გამოითქმის ყელში — და რაღაც დაგუბული ყელის ხმა მოისმის. ჩანს, ძველათ ქართულ ენაშიც ყოფილა ხ-ნისაგან განსხვავებული ხორხისმიერი ხმა — და ამიტომ ჩვენს ანბანში ძველათ იხმარებოდა ხმა ჯ“ (გვ. 185-186). მაგ.: დაჯღ — თხა, ჯან — ხარი.

დახასიათებულია სვანურის პალატალიზებული (უმლაუტიანი) ხმოვნები. უ ხმოვანი, მისი აზრით, „ფრანგული ა-ს მზგავსი ხმა (ი-ნისა და უ-ნის საშუალი), - მაგალ. ფურ - ძროხა (ფური)“. ა ხმოვნის შესახებ ამბობს: „ა-ნისა და ე-ნის საშუალი ხმა (ლათინური ae), - მაგალ. მაზბელ - მეზობელი, ნათი - ნათესავი, ნა - ჩვენ. სგა თქვენ. ეჯიზრ - ისინი“ (გვ. 186).

ამგვარად, სილოვან ხუნდაძემ ზოგადად გამოყო მეგრულ-სვანურის სპეციფიკური ბგერები და მათი სწორი დახასიათება მოგვცა. საერთოქართველური მასალის საფუძველზე მან ნათლად წარმოაჩინა ქართველურ კილოთა ფონემატური სტრუქტურის ერთგვარობა და ქართველური ქვესისტემების ერთიანობა.

II ქვეთავი (ბრუნება) სახელთა ბრუნებას შეეხება. ქართულ სალიტერატურო ენასთან მიმართებით: ზოგადად ნაჩვენებია მეგრულ-სვანურში სახელთა ფორმაწარმოებაში არსებული მსგავსება-განსხვავებები. სახელობითის შესახებ აღნიშნულია, რომ მეგრულში, ქართულის მსგავსად, ხმოვანზე ბოლოვდება: დიდა - დედა, მუმა - მამა, ქოთომი - ქათამი, კოჩი - კაცი, ბამბე - ბამბა, რუო - რვა და სხვ.

გამოკვეთილია სვანურის თავისებურება, სადაც სახელი „ძალიან ხშირათ თანხმოვანზედაც ბოლოვდება, - მაგალ. ჯან - ხარი, პილ - ნაპირი, მაზბელ - მეზობელი, სკამ - სკამი, ლაარტყ - სარტყელი, და სხვ.“ (გვ. 186).

„ბრუნების კანონებში ბევრი რამეა საერთო ქართულ ენასა და მეგრულ-სვანურში“ (იქვე). მეგრ. ნათესაობითი ბრუნვის ში დაბოლოება შედარებულია ქართ. სი დაბოლოებასთან: კოჩიში - რკოსი, ბუსი. „ფონეტიკურათ ს და შ თანაბარი ხმებია“ (გვ. 186). სვანურშიც შ-ნია დაბოლოებაში: დიეშ - დედის, მუეშ - მამის.

„მიცემითი ბრუნვა როგორც მეგრულში, ისე სვანურშიც, ქართულის მზგავსათ, ს-ზე ბოლოვდება: კოჩს - კაცს, სვან. დის - დედას.

წოდებითი ბრუნვა მეგრულსა და სვანურში იგივე სახელობითია: მეგრ. კოჩი - კაცი! სვან. მარე - კაცი“ (186-187).

იქვე აღნიშნულია ცალკეულ ბრუნვათა განსხვავებულ დაბოლოებებზე. „განსხვავებული ფორმა მეგრულსაც და სვანურსაც მოთხრობით ბრუნვაში აქვს, .. მაგალ. მეგრ. კოჩ-ქ - კაცმა. ბოშქ - ბაეშმა; სვანურ. დიდ - დედამ, მუდ - მამამ. - მეგრულს ქართულისგან განსხვავებული დაბოლოება აქვს აგრეთვე ვნებით ბრუნვაში (ო-ზე ბოლოვდება), როცა სახელობით ბრუნვაში სიტყვა ი-ზეა დაბოლოებული: კოჩო - კაცათ, ცხენო - ცხენათ (სხვა დაბოლოების სიტყვებიდან კი ქართულსა გავს: მუმათ, ცუდეთ და სხვ.). სვანურ ენას განსხვავებული ფორმა კიდევ მოქმედებით ბრუნვაში აქვს: ქორშგ - სახლით“ (გვ. 187).

მრავლობით რიცხვში მეგრულ-სვანური სახელების ბრუნებაში იმგვარივე წესებია, როგორც ქართულში. დაბოლოება იგივეა, რაც მხოლოობითში, „მხოლოთ დაბოლოების წინ ჩასართი ემატება (მეგრულში - ქართულის მზგავსივე ეფ, ხოლო სვანურში - განსხვავებული სუფიქსი არ“ (187). ნიმუშად მოყვანილია მეგრ. კოჩი, სვან. ქორ სახელთა ბრუნების პარადიგმა.

იქვე აღნიშნულია: სვანურში სუფიქსის წინ ლ ჩაერთვის, როცა სახელი მხოლოობითის სახელობით ბრუნვაში ხმოვანზეა დაბოლოებული: დიილარ - დედები (დი - დედა), დიილარეშ, დიილარს და სხვ. სქოლიოში მითითებულია: „ზოგან მეგრელებიც ხმარობენ მრავლობითში სუფიქს ეფ-თან სუფიქს ალ-ს:

**მუმალეფი** – მამები, **მუმალეფიში**, **მუმალეფს** (**მუმალენს**) და სხვ. (გვ. 188).

**III ქვეთავში** (მიმოხრა) ზმნის უღლების (მიმოხრის) საკითხებია გაშუქებული. ზმნის ფორმაცვალებას „მიმოხრას“ უწოდებს. აღნიშნავს, როგორც დედაქართულში, ისე მეგრულსა და სვანურშიც ორგვარი მიმოხრაა (ანუ სუბიექტური და ობიექტური პირის ნიშნებით გაფორმებული ზმნები). პირველი მიმოხრის საილუსტრაციოდ მოყვანილია ვწერ ზმნის პარადიგმა, ხოლო მეორე მიმოხრის საილუსტრაციოდ წარმოდგენილია მაქვს ზმნის პარადიგმა. იქვე მიუთითებს: „მეგრული ზმნის ფორმები სავსებით ქართულ მიმოხრასა გავს, განსაკუთრებით თავი (მ, გ, უ). თუმცა მრავლობითი რიცხვის პირველ პირს ქართული გვ-ს მაგიერ თავში მ უზის, მაგრამ აქაც მეგრულ ენას ქართულისთვის დაუცავს: ძველ ქართულშიც ამ ფორმაში მ იხმარებოდა, — მაგალ. „მამაო ჩვენო“-ში ნახმარია ფორმები: „მომეც ჩვენ“ (ახლა ვიტყვით „მოგვეც“), „მიხსენ ჩვენ“ (=გვიხსენ) და სხვ“ (გვ. 189).

„სვანურ ენაშიც II მიმოხრის ზმნა ქართულის მზგავსათ მიმოხრის, მხოლოდ მეორე პირში გ-ს მაგიერ ჯ იხმარება და მრავლობითი რიცხვისათვის მეორესა და მესამე პირში განსხვავებული ნიშანია (ხ)“ (იქვე).

სხვა დროებშიც მეგრულ-სვანურის მიმოხრა ძალიანა გავს ქართული ენის მიმოხრას. აღნიშნულია, რომ „როგორც ქართულ ენაში, ისე მის კილოკავებშიც მეორე მიმოხრის ზმნებთან ქვემდებარე მიცემით ბრუნვაში დაისმის:

ქართ.: კაცს აქვს. უყვარს

მეგრ.: კოჩს უღუ. უცორს

სვან.: მარეს ხულო. ხალატ (გვ. 189).

**IV ქვეთავი** (რიცხვითი სახელები) შეეხება რიცხვითი სახელების წარმოებას. სახელმძღვანელოს ავტორის დაკვირვებით: „ქართულსა და მეგრულ ენაში თვლა ერთნაირი კანონით წარმოიხსნება, ე.ი. ათეულისა და ოცეულის ანგარიშით: ათი – ვითი, ოცი – ეჩი, ოცდაათი – ეჩილოვითი... სვანურში კი ოცამდი ისე ითვლება, როგორც ქართულ-მეგრულში, შემდეგ კი ასამდი – მხოლოდ ათეულის ანგარიშით. — მაგალ. ოცი სვანურათ იქნება იარვეშდ (ე.ი. ორი ათი), ოცდაათი – სემეშდ (=სამი ათი), ორმოცი – ვოოშთხეშდ (=ოთხი ათი). მოცემულია რიცხვითი სახელის წარმოების ნიმუშები 1-დან 12-ის ჩათვლით“ (გვ. 189-190).

ასკვნის: „როგორც ვხედავთ, მეგრული თვლა თითქმის იმგვარივეა, როგორც ქართული; სვანურიც ქართულს ძალიანა გავს: თუმცა მეგრულზე ნაკლებათ და განსაკუთრებით განსხვავებულია ერთის, ხუთისა და ათის სახელწოდება“ (გვ. 190-191).

**V ქვეთავში** (სიტყვათა წარმოება) ნაჩვენებია სიტყვაწარმოებაში არსებული ერთგვარობა მეგრულ-სვანურსა და ქართულ სალიტერატურო ენაში.

„სხვადასხვა სიტყვის წარმოებაში მეგრულიც და სვანურიც დედაქართულის მთავარ კანონებს ემორჩილება: თავიც ეცვლება და ბოლოც, ხან ორივე ერთად და ხან ცალცალკე. — მეგრული ენა აქაც მეტათ ახლოს დგას ქართულთან; მაგალითად, თავართი გა მეგრულათ ითქმის გო: გაკვეთა, გაქრა – გოკვათუა (იმერულათაც გო: გოუჭრა, გოუყვეთა); და მეგრულათ დო: დავსწერე – დოვჭარი (იმერ. დოუწერია, დოვუწერე)“... (გვ. 191)...

„უარყოფითი ნაწილაკი უ მეგრულათაც ისე იხმარება, როგორც ქართულათ: უდიდო – უდედო, უჩილო – უცოლო, უკოჩო – უკაცო. სვანურათ უარყოფითი

ფორმა ზედსართავ სახელებში ორნაირად გამოიხატება: ან ქართულის მზგავსათ (უ-ნით თავში), მაგალ. უჩიეა – უცოლო, უნინ – უენო და სხვ., ან სიტყვის ბოლოში ემატება უარყოფითი ნაწილაკი ურ: დიურ – უდედო, მუურ – უმამო, ადგილურ – უადგილო და სხვ.“ (191).

ქართ. პრეფიქსი მე მეგრულათ მა-თი გამოიხატება, სვანურათ კი მე-თი, – მაგალ. მეორე – მეგრ. მაეირა. სვან მეერვე; მესამე – მეგრ. მასუმა, სვან. მესმე და სხვ. (გვ. 191-192).

„ზედსართავის (განსაკუთრებით მიმღობის) პრეფიქსი მ სვანურათაც მ-თი გამოიხატება: მგქლაქ – მოქლაქე. ქალაქელი, მგირე – მწერალი, მგემ – მაშენებელი, მგსყი – მკეთებელი და სხვ.“ (გვ. 192).

„შედარების ხარისხები მეგრულათაც ისე გამოითქმის, როგორც ქართულათ (ქართული სუფიქსის ეს-ის მაგიერ მეგრულშია აშ): ჭიჭე (პატარა) – უჭიჭაში (უპატარესი, უფრო პატარა) – ძაძამ (ძალძამ, გვალძას, ნამეტანი, ნაბეტანი) ჭიჭე – (ძალიან, მეტათ. ერთობ პატარა)“ (192).

სვანურში შედარებითი ხარისხის ფორმას „თავში ემატება ხონ და ბოლოში ა, ან თუ სიტყვა ი-ზე ბოლოვდება, დაბოლოების ი ა-ნათ იქცევა. მაგალ. სკოოდ – ღრმა, ხონსკოდა – უღრმესი, კგლთხი – მაღალი, ხონკლათხა – უმაღლესი“ (192). აღმატებითი ხარისხი სვანურში მეგრულის მსგავსად ზმნისართების საშუალებით იწარმოება (გუნ – ძალიან, ადურდ – ერთობ, მეტისმეტათ), მაგალ. უუმაღლესი სვანურათ ითქმის ადურდ კგლთხი ან გუნ კგლთხი. „ქართულ ენაში აღმატებითი ხარისხი განსაკუთრებული ფორმითაც გამოითქმის (უუღრმესი, უუმაღლესი). მეგრულსა და სვანურში კი ამგვარი ფორმა არ მოიპოვება“ (212)

იქვე სქოლიოში ავტორი აღნიშნავს, რომ უუმაღლესი, უუღრმესი ტიპის ფორმები მწიგნობრული და შეთხზულია. ხალხში ისინი არ იხმარება.

ს. ხუნდაძის „ქართულ გრამატიკას“ იმ პერიოდის საენათმეცნიერო საზოგადოებაში ფართო გამოხმაურება მოჰყვა. განსაკუთრებული განხილვის საგნად იქცა 1919 წელს, როცა სკოლებისათვის ქართული სახელმძღვანელოების შერჩევის საკითხი დადგა. შ. ხუნდაძის გრამატიკა განიხილა სპეციალურმა კომისიამ, რომლის თავმჯდომარე ა. შანიძე იყო. ა. შანიძემ სახელმძღვანელოს შესახებ დაწერა ვრცელი რეცენზია, რომლის საფუძველზეც სახელმძღვანელოს გამოყენება სკოლებში ნებადართული იყო დროებით.

რეცენზიაში გამოთქმული იყო გარკვეული შენიშვნები. ს. ხუნდაძე მოცემულ შენიშვნებს არ დაეთანხმა და რეცენზენტის ყველა შენიშვნას პასუხი გასცა. ს. ხუნდაძის ვრცელი პასუხები აკაკი შანიძის შენიშვნებზე გამოქვეყნებულია გაზეთ „სახალხო საქმის“ ფურცლებზე (№706, 707, 709).

შენიშვნა სხვადასხვა საკითხს შეეხებოდა. ყურადღებას გავამახვილებთ იმ შენიშვნებზე, რომლებიც სახელმძღვანელოს დანართს, კონკრეტულად კი მეგრულ-სვანურ მასალას შეეხებოდა.

აქვე ვიტყვით: აკაკი შანიძისთვის მიუღებელი იყო „ქართულ გრამატიკაში“ არა მხოლოდ მეგრულ-სვანური მასალის, არამედ ძველი ქართული ფორმების შეტანაც. ამის შესახებ ის წერდა: სულ რომ არ ყოფილიყო მოყვანილი, აჯობებდა, რადგანაც ძველი სალიტერატურო ქართულის შესახებ კაცი ვერავითარ წარმოდგენას ვერ იქონიებს სამ გვერდზე მოკლედ ჩამოთვლილი ნიმუშებითო.

სილოვანის პასუხი ამ შენიშვნაზე ასეთია: მე კი მგონია, რომ პირიქით, ამგვარი შედარება ახალისა და ძველი ქართული ენისა ყმაწვილს

ცნობისმოყვარეობას აღუძრავს და საკმაო მასალასაც მისცემს ამ ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად.

აკაკი შანიძე ასევე წინააღმდეგი იყო „ქართულ გრამატიკაში“ მეგრულისა და სვანურის მონაცემთა შეტანისა. მისი აზრით, „მეგრულისა და სვანურის გრამატიკული ფორმები“ უნდა გამოტოვებულ იქნეს სრულებით, რადგანაც ჯერ ერთი ქართულ აღწერილობით გრამატიკაში, როგორცაა ბ. სილოვანის გრამატიკა, სრულიად უადგილოა მეგრულ-სვანურიდან შესადარებლად მოყვანილი ფორმები. თუ ავტორს სახეში ჰქონდა დაეწერა შედარებითი გრამატიკა. მაშინ მას სხვა გეგმა უნდა აერჩია“.

ამ შენიშვნას სილოვან ხუნდაძე ვრცლად პასუხობს: რეცენზენტს განუმარტავს. თუ რა მიზნით შეიტანა მეგრულ-სვანური ფორმები თავის გრამატიკაში: „ბ. შანიძემ უნდა იცოდეს, რომ ქართული ენის ფორმების შესწავლის დროს მათი შედარება მონაოესავე კილოკავების ფორმებთან ინტერესს აორკეცებს – გარდა იმისა, რომ დიდატაც საჭიროა ჩვენმა მოზარდმა თაობამ იცოდეს მთავარი საფუძველები იმისა, რომ მეგრული და სვანური ენები შტოებია ქართული ენისა, და არა განსხვავებული ენები, როგორც ამას ამბობდენ და დღესაც ამბობენ მტერნი და ორგულნი ჩვენი ქვეყნისა“... (გაზ. „სახალხო საქმე“. 1919. №709: 2-3).

შდრ. მეორე რეცენზენტი – გ. ახვლედიანი დადებითად აფასებს მეორე გამოცემაში დანართის შეტანას: „ფრიად სასარგებლოა ენის შესწავლისთვის მეორე წიგნში (ე.ი. სრულიკურსიან გრამატიკაში) შეტანილი ახალი თავები, რაც წიგნის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს“ (იქვე).

ა. შანიძე „ქართული გრამატიკის“ ავტორს ცოდნის დონეს, კომპეტენციასაც უწყუნებს. მისი აზრით, მეგრულ-სვანური ფორმების სწავლება იმ ცოდნით, რასაც ავტორი გვთავაზობს, შეუძლებელია. ის რეცენზიაში წერს: „მეგრულიდან და სვანურიდან ქართული ფორმების შესადარებელი მასალების გაყვანა ისეთი ცოდნით არ შეიძლება, როგორც ჰქონია გრამატიკის ავტორს: მაგალითად, მეგრული გო ნაწილაკისა (გო-კვათუა) და იმერულ კილოში ხმარებული – ნაწილაკისა (გოუქრა, გოუკვეთა) ერთმანეთთან შედარება ვერც ბ. სილოვანს შესძენს სახელს და ვერც მოწაფეს ცოდნას“.

ს. ხუნდაძის პასუხი: „როცა დედაქართულსა და სვანურ-მეგრულს ერთმანეთს ვადარებ, მე ვამბობ, რომ სვანური და მეგრული დიალექტები ახლოსაა თავისი ფორმებით დედაქართულთანმეთქი, და, სხვათა შორის, ასეთი მაგალითი მომყავს: ქართულათ არის თავსართი გა (მაგ., გა-კვეთა), მეგრულათ კი გო (გო-კვათუა); მაგრამ აქაც კი მეგრული ქართულს დიდათ არ დაშორებია, რადგან იმერულ კილოში აგრეთვე თავსართი გო იხმარებამეთქი: გო-უკვეთა, გო-უქრა და სხვ.“ (ს. ხუნდაძე, 1927: 94).

„რაც შეეხება მეგრული გოკვათუა-ს იმერულ გოუკვეთა-გოუქრია-სთან შედარებას, მე დღესაც კარგათ არ მესმის, თუ რის თქმა უნდოდა აკ. შანიძეს. შესაძლოა ის ფიქრობდა და ფიქრობს, რომ თავსართის გო-ს შესახებ არა დედაქართულის კილოს – იმერულს მოუხბთენია გავლენა მეგრულზე. არამედ, პირიქით – მეგრულს იმერულზეო; – მაგრამ ამ დებულებას ჯერ ერთი გამოთქმა უნდა, და მერე დამტკიცება“... (იქვე).

ბოლოს აკაკი შანიძის – რეცენზენტის შენიშვნებზე ს. ხუნდაძე ასკვნის: „იმისთანა უსაფუძვლო შენიშვნებს, როგორსაც ბ. ა. შანიძე ჩემს წიგნებს უკეთებს, მე, რასაკვირველია, მხედველობაში ვერ მივიღებო“.

ს. ხუნდაძის თვალსაზრისი მეგრულისა და სვანურის როგორც კილოდ განხილვისა გააკრიტიკა ი. ყიფშიძემ თავის „მეგრული ენის გრამატიკაში“. ი. ყიფშიძის აზრით, ამგვარი შეხედულება უსაფუძვლოა და დიდი ხანია მეცნიერებისაგან უარყოფილი (ი. ყიფშიძე, 1914: XXVII).

ს. ხუნდაძე ვრცალდ პასუხობს ი. ყიფშიძეს „ქართული გრამატიკის“ V გამოცემის დანართში - „მეოთხე გამოცემის გამო“: „მე ვამბობ, რომ მეგრული და სვანური ენები ქართული ენის შტოებია-მეთქი, და ის განსხვავებული ფორმები და სიტყვები, რომლითაც ეს კილოკავები დედა-ქართულისაგან გაიჩრევა, იმით აიხსნება, რომ უხსოვარ დროს, როცა ქართველი ტომების საერთო ენა ჯერ კიდევ განვიტარებული არ ყოფილა, რამდენიმე ოჯახი საერთო ფუძეს მოშორებია და განსხვავებულ პირობებში დაუწყია ცხოვრება - და ამიტომაც განსხვავებული ფორმები და ტერმინოლოგია შეუქმნიათ-მეთქი... მე ვფიქრობ, რომ მეცნიერება აქ არაფერ შუაშია: ჩემი აზრი მხოლოდ ჰიპოთეზაა, მოსაზრება და ლოგიკურიც, საფუძვლიანი და ამის წინააღმდეგი მეცნიერებას არაფერი დაუმტკიცებია. ბ-ნ ყიფშიძეს ალბათ გონია, რომ მეცნიერება და ქეშმარიტება მხოლოდ იმის პირით დალადებს, ვინაც მას, ბ-ნ ყიფშიძეს, ესიმპატიება!“ (ს. ხუნდაძე, 1917: III-IV)

განხილული მასალიდან კარგად ჩანს, ერთი მხრივ, სილოვან ხუნდაძის, როგორც გრამატიკოსის, განსწავლულობა და საკითხებისადმი განსხვავებული მიდგომა, მეორე მხრივ, იკვეთება მისი პიროვნული თვისებებიც: პრინციპულობა, შეუპოვრობა, პირდაპირობა.

ს. ხუნდაძე „სალიტერატურო ენას თავს დასტრიალებს, ეძიებს, იკვლევს, ადგენს, ატარებს გარკვეულ ნორმებს. ამასვე მოითხოვს სხვებისგანაც და. თუ სადმე წინააღმდეგობას წააწყდა, ბობოქრობს, დრტვინავს, უკან არ იხეცს, დაუზოგავად იბრძვის ბასრი კრიტიკით, რომელიც ზოგჯერ უღმობლად სერავს მოწინააღმდეგეს“ (ლ. კვანტალიანი, 2009: 78).

ს. ხუნდაძემ თავისი წრომებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული გრამატიკული აზრის განვითარებაში. ის ცნობილია როგორც ქართული ენის სიწმინდის დამცველი, ქართული ენის მოამაგე.

#### დამოწმებული ლიტერატურა

ზ. გამსახურდია, 1991 - ზ. გამსახურდია, წერილები, ესსეები, თბ., 1991.

ლ. კვანტალიანი, 2009 - ლ. კვანტალიანი, სილოვან ხუნდაძის გრამატიკული ნაშრომები, თბ., 2009.

ქეგლ - ქართული ენის გნმარტებოთი ლექსიკონი, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. III, 1953.

ს. ხუნდაძე, 1904 - ქართული გრამატიკა, ს. ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1904.

ს. ხუნდაძე, 1907 - ქართული გრამატიკა, ს. ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1907.

ს. ხუნდაძე, 1911 - ქართული გრამატიკა, ს. ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1911.

ს. ხუნდაძე, 1915 - ქართული გრამატიკა, ს. ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1915.

- ს. ხუნდაძე, 1917 – ქართული გრამატიკა, ს. ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1917.
- ს. ხუნდაძე, 1919 – ქართული გრამატიკა, ს. ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1919.
- ს. ხუნდაძე, 1920 – ქართული გრამატიკა, ს. ხუნდაძის მიერ შედგენილი, ქუთაისი, 1920.
- ს. ხუნდაძე, 1927 – ს. ხუნდაძე, ქართული მართლწერისა და სწორენის ძირითადი საფუძველები, ქუთაისი, 1927.
- გაზ. „სახალხო საქმე“, 1919, №706, 707, 709. ს. ხუნდაძე, ჩემი „ქართული გრამატიკა“.
- ი. უიფშიძე, 1914 – И. Кипшидзе. Грамматика мингрельского (иверского) языка с хрестоматиею и словарем, СПб., 1914: თბზულებანი, თბ., 1994.

## EKA DADIANI, TARIEL PUTKARADZE

### ON MEGRELIAN-SVAN MATERIALS PRESENTED IN SILOVAN KHUNDADZE'S "GEORGIAN GRAMMAR"

Silovan Khundadze was one of the remarkable researchers of the Georgian language. It is evidenced through his rich linguistic legacy. The present article discusses "The Georgian Grammar" which for many years served as a textbook of the Georgian Language for students. Due to its popularity, seven editions of the Georgian Grammar have been published, with the first and seventh editions in 1904 and 1920, respectively. The editions differ in a way, namely, the author included the Megrelian-Laz forms as an annex to the second edition (1907) – "Grammatical Forms of Megrelian and Svan, the Georgian Idioms". The later editions do not display any changes in relation to the Megrelian-Svan forms.

S. Khundadze considered the Megrelian-Laz-Svan idioms as branches, dialects of the Georgian language. The scholar generally applies the term "language" in order to refer to the idiom used in the regional context. Thus, no distinction is made between the Megrelian-Laz-Svan idioms and those of the rest of the regions.

The aim of the above-mentioned textbook's author is evident: to highlight the similarities between the Georgian literary language and the Georgian dialects in terms of phonetics, morphology and derivation on the basis of analysis of the Megrelian-Svan materials.

The Annex is divided into five parts (subsections) and each of them deals with different issues.

Through his research S. Khundadze greatly contributed to the development of the Georgian grammar. He is well-known for advocating the preservation of *purity* of the Georgian *language*.